სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030604792512618

05 / დეკემბერი / 2018 წ. **თბილისი #06-204/ო**

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლოგოტიპის დამტკიცების შესახებ

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) ლოგოტიპის ნიმუში და აღწერილობა თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ცენტრის ლოგოტიპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს:
ა) ცენტრის/სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებზე;
ბ) ბეჭდვით გამოცემებსა და პოლიგრაფიულ ნაწარმზე;
გ) ცენტრის ვებ-გვერდზე;
დ) ცენტრის შეკვეთით დამზადებულ სარეკლამო-საინფორმაციო და სუვენირულ პროდუქციაზე, აგრეთვე კინო, ვიდეო და ფოტო მასალზე;
ე) სავიზიტო ბარათებზე და ცენტრის თანამშრომელთა მოწმობებზე;
ვ) ცენტრის მიერ ან მასთან ერთად ორგანიზებულ შეხვედრებსა და პრესკონფერენციებზე;
ზ) საჭიროებისამებრ სხვა ბეჭვდით და ელექტრონულ მასალებზე.
3. ცენტრის ლოგოტიპის გამოყენება აკრძალულია ცენტრის თანხმობის გარეშე.
4. ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლოგოტიპის დამტკიცების შესახებ” სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენარალური დირექტორის 2016 წლის 23 დეკემბრის #06-199/ო ბრძანება.
5. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ირმა ხონელიძე